ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01171881957**

თარიღი: **07.07.2017**

ადრესატი:
ოთარ ლორთქიფანიძე
პირადი ნომერი: 01008013818
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის I შესახვევი, N 6, ბინა 49

ბატონო ოთარ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01171673044-17 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებობის ნებართვა) 03.01.2017წ. N3029300 (AR1460490) ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, ქუჩა ცხვედაძე N40 (40ა) / ქ. თბილისი, ცხვედაძის ქ. N40 (40ა)-ს მიმდებარედ (საკ. კოდი 01.144.11.048.034) თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების ნახატი, წყლის მილების ფორმა და მდებარეობა. ,,1-6“, A-C“ და ,,C-A“ ფასადებძე შენობის ძირში კედლების ნაწილი შეღებილია განსხვავებულ ტონში. +2,40 ნიშნულზე ,,A“ ღერძის გარეთ რიგელების ნაწილი მოპირკეთებულია პანელებით.

შეცვლილია რელიეფის დონე. ტერიტორიაზე გამწვანების ნაწილი გაუქმებულია.

,,1-6“ ფასადი: შენობის ძირში გაზრდილია კიბეების და ბაქნების სიგანე. ,,1“ ღერძის გარეთ შეცვლილია ცხაურის გაბარიტი. ,,1-2“ მონაკვეთში კიბესთან დამატებულია მოაჯირი. ,,6“ ღერძის გარეთ დაბალი კედელი მოპირკეთებულია გრანიტით. კარებების ზემოთ შეცვლილია მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვების მდებარეობა. სართულებზე შემცირებულია ცხაურების სიმაღლე.

,,6-1“ ფასადი: შენობის ძირში ,,5“ ღერძთან შეცვლილია კიბის სიგანე და კედლის ნაწილს მონაცვლებული აქვს ადგილი. ,,4“ ღერძთან კედელი და კარი გადაწეულია უკან. ,,4-3“ მონაკვეთში შეცვლილია დაბალი კედლის ფორმა და გაზრდილია საფეხურების რაოდენობა. კოლონებთან დამატებულია საკომუნიკაციო მილები. ,,3-2“ მონაკვეთში შეცვლილია საფეხურის ფორმა. ,,2-1“ მონაკვეთში შემცირეულია საფეხურების რაოდენობა. -3,25 ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრის ნახატი. ამავე ფანჯარასთან მოწყობილია რიგელი. ±0,00 ნიშნულზე გაზრდილია ფანჯრების სიმაღლე. ,,აივნებზე გაზრდილია მოაჯირების სიმაღლე. +9,70 ნიშნულზე კაპიტალური მოაჯირების წინ პანელებით მოპირკეთების ნაცვლად მოაჯირი შელესილი და შეღებილია.

,,A-C“ ფასადი: ,,A“ ღერძის გარეთ შეცვლილია კედლის მდებარეობა. +2,80 ნიშნულზე ,,A“ ღერძთან მოწყობილია გამწოვი ღიობი. ,,B-C“ მონაკვეთში პანელით მოპირკეთების ნაცვლად კედელი შელესილი და შეღებილია.

,,C-A“ ფასადი: შენობის ძირში კიბესთან გაზრდილია ბაქნის გაბარიტი და დამატებულია ლითონის სახელური.

შენობის შიგნით ნაწილობრივ შეცვლილია კიბის კონფიგურაცია და საფეხურების რაოდენობა. -3,250 ნიშნულზე ,,6-5“ მონაკვეთში ფილაში მოწყობილია ღიობი. ,,A“ ღერძთან კოლონებთან შეცვლილია კედლების ფორმა.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე